საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, სოფელი დიდი ლილო, ერეკლე მეორეს ქუჩა #104, დატა-ცენტრის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის თარიღი	15.09.2026

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
2. პირობითი აღნიშვნები;
3. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
4. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(არქიტექტურული ნაწილი)*;
5. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
6. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
7. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
8. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
9. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
10. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
11. გარე კედლების, იატაკისა და სახურავის ანაწყობების დეტალიზაციები;
12. გზა-კიბეების დეტალიზაციები;
13. პანდუსის დეტალიზაციები;
14. მისაწვდომობის დეტალიზაციები.

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობის შეფასება ---------- 4

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 5

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 6

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 7

მისაწვდომობის შეფასება ---------- 8

შიგა გარემოს შეფასება ---------- 9

გარე კედლების შეფასება ---------- 10

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 11

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 12

ლიფტის შეფასება ---------- 13

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, სოფელ დიდი ლილოში, ერეკლე მეორის ქუჩა №104-ში, საკადასტრო კოდით №01.81.08.254.019 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

საპროექტო მიწის ნაკვეთს დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი საავტომობილო გზა, საიდანაც უზრუნველყოფილია ტერიტორიაზე სატრანსპორტო წვდომა, მათ შორის სახანძრო-სამაშველო ტექნიკის მიდგომა. სახანძრო ტექნიკის მისადგომობა საპროექტო შენობასთან უზრუნველყოფილია 915-ე ქვეთავის შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნული საკითხის დეტალური შეფასება წარმოდგენილია წინამდებარე დასკვნის მე-6 თავში.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია მონაცემთა ცენტრის (Data Center) მშენებლობა. საპროექტო შენობა წარმოადგენს მიწისზედა ორსართულიან ნაგებობას, რომლის ფუნქციური ზონირება განისაზღვრება შემდეგნაირად:

- **I სართული (±0.00 ნიშნული):** A–D ღერძებში განთავსებულია საოფისე ფუნქციის სივრცეები და მათი დამხმარე სათავსები, აგრეთვე ტექნიკური დანიშნულების ოთახები; D–G ღერძებში განთავსებულია მონაცემთა ცენტრის სერვერული აღჭურვილობის განთავსებისთვის განკუთვნილი სივრცეები.
- **II სართული (+4.00 ნიშნული):** A–D ღერძებში განთავსებულია საოფისე ფუნქციის სივრცეები და მათი დამხმარე სათავსები.

#41 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, შენობის თითოეული ფუნქციური სივრცის დაკავებულობის კლასიფიკაცია და შესაბამისი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები განისაზღვრება სივრცის რეალური ფუნქციის, გამოყენების ხასიათისა და მოსალოდნელი დაკავებულობის დატვირთვის საფუძველზე. აღნიშნული კლასიფიკაციისა და შესაბამისი მოთხოვნების დეტალური შეფასება წარმოდგენილია წინამდებარე დასკვნის შესაბამის თავებში.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე ასევე გათვალისწინებულია ღია ავტოსადგომების მოწყობა. ტერიტორიის ფარგლებში დაგეგმილია დაცვის ფუნქციისთვის განკუთვნილი მცირე ნაგებობებისა და ტექნიკური დანადგარების განსათავსებელი ნაგებობების განთავსება.

საპროექტო შენობის ყველა სართული და ძირითადი ფუნქციური სივრცე უზრუნველყოფილია შშმ პირთათვის მისაწვდომობით. მისაწვდომობის შეფასება მოიცავს შენობაში შესასვლელებს, შიდა გადაადგილების მარშრუტებს, სართულებსა და შესაბამის ფუნქციურ სივრცეებს. აღნიშნული საკითხის დეტალური ანალიზი წარმოდგენილია წინამდებარე დასკვნის მე-8 თავში და დასკვნაზე თანდართულ, მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის საფუძველზე მომზადებულ შეფასებაში.

საპროექტო შენობის ძირითადი მზიდი და სხვა შესაბამისი კონსტრუქციული ელემენტებისთვის განსაზღვრულია **2-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი.** შენობის სხვადასხვა სამშენებლო ანაწყობისა და კონსტრუქციული ელემენტის მიმართ გათვალისწინებულია მოქმედი ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ცეცხლმედეგობისა და ხანძარსაწინააღმდეგო გამიჯვნის მოთხოვნები. აღნიშნული საკითხის დეტალური შეფასება წარმოდგენილია წინამდებარე დასკვნის მე-5 თავში.

საპროექტო შენობა აღჭურვილია ხანძრისგან დაცვის აქტიური და პასიური სისტემებით. აღნიშნული სისტემების, მათ შორის ხანძრის აღმოჩენისა და განგაშის, ხანძრის ჩაქრობის, კვამლის მართვის და სხვა შესაბამისი სისტემების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება წარმოდგენილია წინამდებარე დასკვნის მე-6 თავში, თითოეული სისტემის შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტის გათვალისწინებით.

შენობის გარე ფასადების მოპირკეთება გათვალისწინებულია სენდვიჩ-პანელების გამოყენებით, ხოლო ფასადის ცალკეული მონაკვეთები შესრულდება შელესილი და შეღებილი ზედაპირით. ფასადის, გარე კედლებისა და სახურავის სამშენებლო ანაწყობების ხანძარსაწინააღმდეგო მახასიათებლების შეფასება, მათ შორის გამოყენებული მასალებისა და სისტემების შესაბამისობის საკითხები, წარმოდგენილია წინამდებარე დასკვნის მე-10 და მე-11 თავებში.

1 გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- შენობის თითოეული სივრცე დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.

- შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

  - **საქმიანი ჯგუფი სქ** (საოფისე სივრცეები 0.00 და +4.00 ნიშნულებზე; სამზარეულო/სასადილო სივრცე 0.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 304 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის მონაცემთა ელექტრონულ დამუშავებას.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1** (სხვადასხვა სახის ელექტრო და მექანიკური მოწყობლობების ოთახები 0.00 ნიშნულის დონეზე) - რაც ყველაზე მეტად შეესაბამება 306.2 ქვეთავს, საფრთხის დონიდან და საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-1.** (სხვადასხვა სახის სასაწყობე სივრცეები -0.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 311.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საშუალო საფრთხის შემვლელი მასალების დასასაწყობებლად გამოყენებული სივრცეები.

- თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

  - საოფისე სივრცეებისთვის ---------- 9.3 მთლიანი;
  - შეხვედრების და სამზარეულო/სასადილო ოთახებისთვის ---------- 1,4 სუფთა;
  - ელექტრო და მექანიკური მოწყობლობების ოთახებისთვის ---------- 27.9 მთლიანი;
  - სასაწყობე სივრცეებისთვის ---------- 46.5 მთლიანი;

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- პროექტით გათვალისწინებულია 2 სართულიანი შენობის განთავსება. ორივე სართული განთავსებულია მიწის დონის ზემოთ.

- შენობის სიმაღლე მიწის დონიდან უტოლდება 15.30 მეტრს.

- შენობაში გათვალისწინებულია სქ, სმ-1 და სწ-1 ჯგუფები და აღნიშნული სართულების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგი სახით:
  - მიწის დონის ზედა I სართულზე ---- ჯგუფი სქ (117.8მ^2); ჯგუფი სმ-1 (965.9 მ^2); ჯგუფი სწ-1 (123.9 მ^2);
  - მიწის დონის ზედა II სართულზე ---------- ჯგუფი სქ (448.1 მ^2);

- საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის (I-B) მიხედვით.

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი **(I-B)** შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. რაც შეეხება შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხებს, ცეცხლმედეგობისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად *(შენობის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, გარე და შიგა მზიდი კედლები, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები - უნდა გააჩნდეს, სულ მცირე 2 საათიანი ცეცხლმედეგობა, ხოლო სახურავის კონსტრუქციასა და არაძირითადი ნაწილებს - უნდა გააჩნდეს, სულ მცირე 1 საათიანი ცეცხლმედეგობა).* არქიტექტურული პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, თუმცა კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობების ხარისხი ასევე უნდა დაზუსტდეს კონსტრუქციულ პროექტში „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს 721 და 722 ქვეთავების მიხედვით.

- გარე არამზიდი კედლების საჭირო ცეცხლმედეგობის ხარისხი განისაზღვრება 602 ცხრილის მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებისა და შესაბამისი კონსტრუქციის ტიპის გათვალისწინებით. საპროექტო შენობის ამჟამინდელი განთავსების მიხედვით, გარე კედლების ძირითადი მონაკვეთებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აღემატება 9.0 მ-ს, რაც გამორიცხავს გარე კედლებისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

  ამასთან, საპროექტო გადაწყვეტა ითვალისწინებს მონაცემთა ცენტრის მეორე მოდულის სამომავლო მშენებლობას, რომელიც განთავსდება „1“ ღერძის მიღმა. აღნიშნული სამომავლო განვითარების გათვალისწინებით, A–G ღერძებში არსებული გარე კედლებისთვის ცეცხლმედეგობის მოთხოვნა მიღებულია **არანაკლებ 2 საათით**.

  აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს გარე კედლების შესაბამისობას 602 ცხრილის მოთხოვნებთან არა მხოლოდ არსებული განაშენიანების პირობებში, არამედ საპროექტო ობიექტის გათვალისწინებული სამომავლო გაფართოების შემთხვევაში.

4 ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს -გარე სივრცეში ავტოსადგომის მოწყობას.
- ავტოსადგომები განთავსებულია ამავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, რაც აკმაყოფილებს 406.9.2.3 ქვეპუნქტის მოთხოვნას.
- ავტოსადგომებზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ავტოსადგომებზე შშმ პირთათვის გათვლილი ავტომობილის სადგომების რაოდენობა შეესაბამება 1106.1 ცხრილს, ხოლო გაბარიტული ზომები „მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს“, კერძოდ გათვალისწინებულია ერთი მიკროავტობუსისთვის განკუთვნილ სივრცე, 1106.5 ქვეთავის მოთხოვნისა და „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-თ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.
- საავტომობილო გზის სიგანე შეესაბამება 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
- საავტომობილო გზის შიგა მოხვევის რადიუსები აკმაყოფილებს 406.9.4.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- საავტომობილო გზის დახრის პროცენტი აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- თითოეული ავტომობილისათვის განკუთვნილი გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.
- ავტოსადგომებზე, ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილები დახაზულია, თანახმად 406.9.4.6 ქვეთავისა.

5 ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- შენობის გარე კედლებში არსებული ღიობების შვეულად გამიჯვნა 705.8.5 ქვეთავის პირველი გამონაკლისით არ მოითხოვება.
- გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს. იხილეთ წესების ანალიზი.
- შენობის სახურავის თითოეულ დონეს გააჩნია პარაპეტი, რომლის მოთხოვნები დაცულია 705.11 ქვეთავის მიხედვით.
- შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი მათ მიერ გადაკვეთილი იატაკის კონსტრუქციების ცეცხლმედეგობის ხარისხზე ნაკლები არ უნდა იყოს, შესაბამისად შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.
- შახტის შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი მათ მიერ გადაკვეთილი იატაკის კონსტრუქციების ცეცხლმედეგობის ხარისხზე ნაკლები არ უნდა იყოს, შესაბამისად შიგა გასასვლელის შემოზღუდული გზა-კიბეებისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 1009.3.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- გარე თავშესაფრის ფართობები, შენობის შიგა სივრცისაგან გამიჯნულია, ასეთი გამმიჯნავი გარე კედლის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 1 საათით, ხოლო მასში განთავსებული ფანჯრების ცეცხლმედეგობა უტოლდება 45 წუთს, კარისა კი 60 წუთს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1007.7.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- გარე გასასვლელის გზა-კიბესა და პანდუსს შენობისგან გამიჯვნა არ სჭირდება, ვინაიდან შენობის სიმაღლე არ აღემატება ორ სართულს მიწის დონიდან და შენობიდან გამოსასვლელი, რომელიც ასეთ დაკავებულობებს ემსახურება, მდებარეობს მიწის დონიდან პირველ სართულზე, თანახმად 1026.6 ქვეთავისა.

- დაკავებულობები ერთმანეთისაგან გამიჯნულია 508.4 ცხრილზე დაყრდნობით.

- საპროექტო კომპლექსში რამოდენიმე ხანძრისაგან დაცული ფართობია. შენობის ზედა და ქვედა სართულები ერთმანეთისაგან 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხითაა გამიჯნული საქმიანი ზონის ორი სართული. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 707.3.10 ცხრილის მოთხოვნებს.

- 1018.1 ცხრილზე დაყრდნობით განისაზღვრება დერეფნის მომსახურე ტიხრებისათვის ცეცხლმედეგობის ხარისხი.

- ყველა საინჟინრო და ტექნიკური დანადგარებისათვის განკუთვნილი ოთახი, სხვა ფართებისაგან გამინულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ცეცხლმედეგი ზღუდეებით და 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის კარის ანაწყობებით, რაც შეესაბამება მე-7 თავის მოთხოვნებს.

- სხვადასხვა სახის ანაწყობებში, კარის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

6 ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- 903.2.4 ქვეთავის თანახმად, ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დააყენონ სმ-1 ჯგუფის დაკავებულობაში, სადაც ხანძრისგან დაცული ფართობი 1115 მ^2-ს აღემატება; ასეთი მოცემულობა საპროექტო შენობაში არის, შესაბამისად ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობის

ვალდებულებაც არსებობს, თუმცა 903.3.1.1.1 ქვეთავის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საგამონაკლისო არეალს წარმოადგენს ნებისმიერი ოთახი ან სივრცე, სადაც საშხეფების დაყენება სასურველი არ არის მათი შემცველობიდან გამომდინარე. სწორედ ასეთ სივრცეს წარმოადგენს დატა-ცენტრის სასერვერო და ტექნიკური დანადგრებით აღჭურვილი ნაწილი, სადაც ნაცვლად ავტოსაშხეფი სისტემისა დაიგეგმა ნისლით ქრობის სისტემის გამოყენება, რაც ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემის ტიპს განეკუთვნება. ასეთი სისტემის გამოყენებაზე თანხმობა უნდა გასცეს შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ. <u>ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.</u>

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია მთელ შენობაში, თითოეული სართულის დონეზე, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას. ხელის ცეცხლმაქრები მოეწყოს NFPA 10_ის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- საპროექტო შენობაში დაცულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლის აღმომჩენი სისტემებისადმი მოთხოვნები 907 ქვეთავის შესაბამისად, კერძოდ:

სახანძრო განგაშის სისტემა

ხანძრის ადრეული გამოვლენის, დამკავებლების გაფრთხილებისა და შესაბამისი ინტერლოკური და უსაფრთხოების ფუნქციების ამოქმედების მიზნით გათვალისწინებულია სამისამართო ავტომატური სახანძრო განგაშის სისტემა.

დაპროექტებისას პრიორიტეტი ენიჭება ხანძრის საიმედო და ადრეულ გამოვლენას, მკაფიო ხმოვან და ვიზუალურ გაფრთხილებას და სისტემის სრულ მონიტორინგს მუდმივად მომსახურე საკონტროლო ოთახიდან.

ხანძრის აღმოჩენა

საოფისე და ადმინისტრაციული შენობის ხანძრის რისკის შემცველ ზონებში დამონტაჟებულია სამისამართო ავტომატური სახანძრო განგაშის სისტემა. სამისამართო სისტემა უზრუნველყოფს თითოეული გააქტიურებული მოწყობილობის ზუსტი ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებას, რაც იძლევა ხანძრის კერის სწრაფად დადგენისა და შესაბამისი რეაგირების დაუყოვნებლივ განხორციელების შესაძლებლობას.

სახანძრო განგაშის მართვის მოწყობილობა უწყვეტად აკონტროლებს თითოეულ დეტექტორსა და მოწყობილობას კონკრეტული ოთახისა და ზონის მახასიათებლების შესაბამისად, რის საფუძველზეც თითოეული სივრცისთვის შეირჩევა შესაბამისი ტიპის დეტექტორი.

სისტემა დაპროექტებულია მუდმივად მომსახურე საკონტროლო ოთახიდან 24-საათიანი მონიტორინგისთვის.

ავტომატური სახანძრო განგაშის სისტემა მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- სახანძრო განგაშის მართვის პანელი (მისამართირებადი);
- ავტომატური სახანძრო დეტექტორები;
- ხელით ჩასართავი სახანძრო განგაშის ღილაკები;
- ხმოვანი სიგნალიზატორები და ვიზუალური ინდიკატორები;
- ინტერფეისის, შემავალი/გამომავალი და მართვის მოდულები;
- ურთიერთდამაკავშირებელი სადენები და კაბელები.

მისამართირებადი სახანძრო განგაშის მართვის პანელი

მისამართირებადი სახანძრო განგაშის მართვის პანელი განთავსებულია მუდმივად მომსახურე საკონტროლო ოთახში, კედელზე, მისაწვდომ სიმაღლეზე. პანელს გააჩნია სარეზერვო მარყუჟის სიმძლავრე სისტემის სამომავლო გაფართოების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

პანელი ახორციელებს სისტემაში ჩართული თითოეული დეტექტორისა და მოდულის მონიტორინგს და დაპროგრამებული მიზეზ-შედეგობრივი ლოგიკის შესაბამისად გასცემს შესაბამის მართვის ბრძანებებს.

პანელის წინა პანელზე განთავსებულია მისი კონტროლის ქვეშ მყოფი თითოეული ზონისა და სივრცის შესაბამისი ინდიკატორები. პანელს შეუძლია ერთდროულად დაამუშაოს რამდენიმე სხვადასხვა ზონაში განთავსებული დეტექტორიდან მიღებული განგაშის სიგნალები.

ხანძრის სიგნალის მიღებისას პანელი ააქტიურებს ხმოვან და ვიზუალურ განგაშს და შესაბამისი ზონისთვის ასრულებს გათვალისწინებულ მართვის ფუნქციებს.

სახანძრო განგაშის სისტემა ინტეგრირებულია შენობის მართვის სისტემასთან (BMS), რაც უზრუნველყოფს მისი მუშაობის სტატუსის — ნორმალური რეჟიმის, ხანძრის ან გაუმართაობის — ცენტრალიზებულ მონიტორინგს ობიექტის მართვის პლატფორმიდან.

ავტომატური დეტექტორები

დეტექტორები შეირჩევა თითოეული სივრცის მახასიათებლებისა და ხანძრის რისკის შესაბამისად, რათა თითოეულ ოთახში გამოყენებულ იქნეს აღმოჩენის ყველაზე შესაბამისი პრინციპი.

თითოეული დეტექტორი აღჭურვილია ინდიკატორით, რომელიც აჩვენებს მის გააქტიურებას და ასევე იძლევა კვების წყაროს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას.

მისამართირებადი კვამლის დეტექტორები გათვალისწინებულია საოფისე საერთო სივრცეებში, ლობებში, დერეფნებში, საკონფერენციო ოთახებში და საოფისე/ადმინისტრაციული შენობის სხვა დაკავებულ სივრცეებში.

მისამართირებადი სითბური დეტექტორები გათვალისწინებულია საოფისე შენობის ელექტრულ და ტექნიკურ ოთახებში, სადაც კვამლის დეტექციის გამოყენება მიზანშეუწონელია.

გამოიყენება ტემპერატურის ზრდის სიჩქარეზე რეაგირებისა და ფიქსირებული ტემპერატურის კომბინირებული ტიპის დეტექტორები.

ხელით ჩასართავი სახანძრო განგაშის ღილაკები

მისამართირებადი ხელით ჩასართავი სახანძრო განგაშის ღილაკები დამონტაჟებულია საერთო სივრცეებში, დერეფნების გასწვრივ, კიბის უჯრედებთან და გასასვლელებთან ახლოს, თვალსაჩინო და ადვილად მისადგომ ადგილებში.

ისინი საშუალებას აძლევს ხანძრის აღმომჩენ პირს, ავტომატური დეტექტორების რეაგირებამდე, ხელით ჩართოს სახანძრო განგაში.

თითოეული ღილაკი მისამართირებადია, რის შედეგადაც მისი ამოქმედებისას ზუსტი ადგილმდებარეობა აისახება მართვის პანელზე.

ხმოვანი სიგნალიზატორები და ვიზუალური ინდიკატორები

კომბინირებული ხმოვანი სიგნალიზატორები და ვიზუალური ინდიკატორები უზრუნველყოფენ დამკავებლების ხმოვან და ვიზუალურ გაფრთხილებას.

ისინი განაწილებულია ისე, რომ განგაშის სიგნალი მკაფიოდ ისმოდეს და ვიზუალურად აღიქმებოდეს საოფისე და ადმინისტრაციული ზონების მთელ ტერიტორიაზე.

სახანძრო განგაშის სისტემა უნდა დააყენონ NFPA 72-ის შესაბამისად. ელექტრომგაყვანილობა უნდა აკმაყოფილებდეს NFPA 70-ისა და NFPA 72-ის მოთხოვნებს. სახანძრო განგაშის სისტემის ძირითადი და დამატებითი ელექტრომომარაგება უნდა განხორციელდეს NFPA 72-ის შესაბამისად. ასევე დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება. ხანძარქრობის სისტემის საინჟინრო დოკუმენტაცია წარედგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- კვამლის საკონტროლო სისტემა დაპროექტებულია 909 ქვეთავით განსაზღვრულ არეალებში ქვემოთ მოცემული სისტემების გამოყენებით:

ადრეული კვამლის აღმოჩენის სისტემა (VESDA)

VESDA-ს დაფარვის ზონები განისაზღვრება დემარკაციის ნახაზზე ნაჩვენები ფარგლების შესაბამისად, ხოლო დანარჩენ ტერიტორიებზე გამოიყენება სტანდარტული კვამლის აღმოჩენის სისტემა.

VESDA სისტემიდან მიღებული სიგნალი მონიტორინგის მიზნით გადაეცემა სახანძრო განგაშის სისტემას, GUI-სა და BMS-ს.

VESDA სისტემა წარმოადგენს ASD-ს (Aspirating Smoke Detector) ტიპის სისტემას და მოიცავს:

- ASD მოწყობილობებსა და ASD ქსელს;
- სახანძრო ინდიკაციის პანელთან მიერთებას;
- სინჯის აღების მილებს;
- სინჯის აღების წერტილებს.

ASD სისტემის მგრძნობელობა უნდა იყოს რეგულირებადი, რათა ადგილზე შესაძლებელი იყოს მისი პარამეტრების კორექტირება კონკრეტული ობიექტის პირობების შესაბამისად.

გამოიყენება განგაშის სამი დონე:

- **განგაშის დონე 1 (40%) — Alert:** მდგომარეობა აისახება ASD-ის პანელსა და სახანძრო ინდიკაციის პანელზე;
- **განგაშის დონე 2 (70%) — Pre-alarm:** მდგომარეობა აისახება ASD-ის პანელზე, სახანძრო ინდიკაციის პანელზე, GUI-სა და BMS-ის პანელზე. წინასწარი განგაშის სიგნალი გადაეცემა უსაფრთხოების ოთახსა და შენობის მენეჯერს;
- **განგაშის დონე 3 (100%)** — ააქტიურებს Alarm Verification Facility-ის ერთჯერად სიგნალს. ევაკუაცია განხორციელდება მას შემდეგ, რაც აღნიშნული მდგომარეობა დადასტურდება შენობის სხვა დეტექციის ზონის მიერ.

დაწნევისა და კვამლის მოცილების სისტემა

კიბის უჯრედებისა და ლიფტის შახტების დაწნევის სისტემა

მიზანი

საევაკუაციო კიბის უჯრედებსა და ლიფტის შახტებს უნდა მიეწოდებოდეს სუფთა ჰაერი დადებითი წნევის შესანარჩუნებლად, კვამლის შეღწევის თავიდან ასაცილებლად და ხანძრის დროს ევაკუაციის პროცესში ადამიანების კვამლით გაგუდვისგან დასაცავად.

კიბის უჯრედისა და ლიფტის შახტებისთვის სახურავზე დამონტაჟებული ღერძული ვენტილატორები ჰაერს უშუალოდ კიბის უჯრედსა და ლიფტის შახტებში აწვდიან.

დაწნევის ჰაერის ნაკადი გაანგარიშებულია კიბის უჯრედში არანაკლებ 20 Pa წნევის და ღია კარის შემთხვევაში 1.3 მ/წმ ჰაერის სიჩქარის უზრუნველსაყოფად.

წნევა შეზღუდულია არაუმეტეს 50 Pa-მდე მოტორიანი რელიეფური დამპერის საშუალებით, რომელიც იხსნება და იკეტება კიბის უჯრედში დამონტაჟებული წნევის სენსორებიდან მიღებული სიგნალის საფუძველზე.

დაწნევის ვენტილატორს გააჩნია მართვის პანელი, რომელიც დაკავშირებულია სახანძრო განგაშის სისტემასა და შენობის ცენტრალიზებულ მართვის სისტემასთან. ასევე გათვალისწინებულია ხელით მართვის ჩამრთველი მუდმივად მომსახურე სახანძრო საკონტროლო ოთახში, მოსახერხებელ ადგილას.

დერეფნების კვამლის მოცილების სისტემა

დერეფნების კვამლის მოცილების სისტემა განკუთვნილია საოფისე ზონების დერეფნებისთვის და იყენებს სახურავზე დამონტაჟებულ ღერძულ ვენტილატორებს.

თითოეულ სართულზე, კვამლის მოცილების განშტოებებზე, დერეფნის ჭერში დამონტაჟებულია მოტორიანი კვამლის მოცილების დამპერები (MFD), რომლებიც ნორმალურ მდგომარეობაში დახურულია.

ხანძრის შემთხვევაში ხანძრის წარმოშობის სართულზე მდებარე MFD დამპერი იხსნება. კვამლის მოცილება გათვლილია მხოლოდ ერთ სართულზე — ხანძრის წარმოშობის სართულზე — რათა კვამლი მოშორდეს ტერიტორიას და დამკავებლები საევაკუაციო კიბის უჯრედისკენ გადაადგილებისას დაცული იყვნენ კვამლით გაგუდვისგან.

ღერძული ვენტილატორები კვამლს იღებენ და კვამლის მოცილების შახტის გავლით გარეთ გამოყოფენ.

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის დაგეგმარება:

- 915 ქვეთავის მიზნებისათვის გამოვლინდა შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე, რომელიც განისაზღვრება სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის შენობასთან მისასვლელი გზის ყველაზე დაბალი დონიდან შენობის ყველაზე მაღლა მდებარე იატაკის ნიშნულამდე. ასეთი სიმაღლე არ აღემატება 10,0 მეტრს.

- სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი გზის სიგანე უტოლდება 6,0 მეტრს. ასეთ გზებზე თავისუფალი და ჩაუხერგავი შვეული სიმაღლე შეუზღუდავია, გზების მოხვევის შიგა რადიუსები უტოლდება 6,0 მეტრს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 915.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- დაცულია 915.7 ქვეთავის მოთხოვნა, რომელიც არეგულირებს სახანძრო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზის მოთხოვნებს შენობასთან, რომლის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე არ აღემატება 10 მეტრს. კერძოდ, სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზა მიდის შენობის მთავარ შესასვლელ კარამდე არა უმეტეს 15 მეტრის დაშორებით. მისასვლელი

გზა მოწყობილია ისე, რომ შენობის პირველი სართულის გარე კედლის ნებისმიერი ნაწილი განთავსებულია სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზიდან არა უმეტეს 45 მეტრის მანძილზე.

- სახანძრო გზის დახრა არ აღემატება 10%-ს, რაც შეესაბამება 915.16 ქვეთავის მოთხოვნას.
- საპროექტო მიწის ნაკვეთზე სახანძრო ტექნიკის გადასაადგილებელ გზებზე ჩიხური მონაკვეთი შენობის პერიმეტრის გასწვრივ არ წარმოიქმნება.
- <u>სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზების საპროექტო გადაწყვეტით განხორციელებული დაგეგმარების პრინციპი უნდა შეთანხმდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.</u>

7 გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- შენობაში თითოეული სართულისთვის გასასვლელების რაოდენობა აკმაყოფილებს 1021.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
  - +4.00 ნიშნულზე, სქ ჯგუფად კლასიფიცირებული სხვადასხვა სივრცეების ჯამური დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 500 დამკავებელს, შესაბამისად სართულს ესაჭიროება ორი გასასვლელი, რაც წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბის სახით.
  - 0.00 ნიშნულზე, "A-D" ღერძებში განთავსებულ ბლოკში, სქ და სწ-1 ჯგუფებად კლასიფიცირებული სივრცეების დაკავებულობის დატვირთვის ჯამი არ შეესაბამება 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნებს, ასევე არ არის 500 დამკავებელზე მეტი, შესაბამისად მითითებულ სივრცეებს ესაჭიროება ორი გასასვლელი რაც წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ორი გზა-კარის და გარე კიბეების სახით.
- შენობის სართულების დამაკავშირებელი შიგა გასასვლელის გზა-კიბეების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს 1022.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ამას გარდა შიგა გასასვლელის გზა-კიბეებში მოეწყობა მხოლოდ 1022.5 ქვეთავის შესაბამისი გაყვანილობები.

- შენობის მომსახურე ორივე შიგა გასასვლელის გზა-კიბე გარე სივრცეს უკავშირდება პირდაპირ, რაც შეესაბამება 1022.3 ქვეთავის მოთხოვნას.
- შენობის მომსახურე გარე გზა-კიბეები აკმაყოფილებს 1026 ქვეთავის მოთხოვნებს.
- შენობის ორივე სართულზე გასასვლელები ერთმანეთისგან დაშორებულია 1015.2.1 ქვეთავის შესაბამისად.
- თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 და 1014.3 ცხრილების მოთხოვნა და თითოეული დაკავებულობის ჯგუფი სარგებლობს შესაბამისი რაოდენობის გასასვლელი საშუალებით დამკავებელთა რაოდენობიდან გამომდინარე.
- გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.10 მეტრის სახით), რაც ასევე ნაკლებია 1007.3 ქვეთვით განსაზღვრულ მოთხოვნაზე, რომლის თანახმად მისაწვდომი გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უნდა იყოს სულ მცირე 1.20 მეტრი. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და კიბეების თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უტოლდება სულ მცირე 1.20 მეტრს.
- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.20 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 1.20 მეტრს.
- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო

შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია.

- გზა-კიბეების საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბეების საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ამასთანავე თითოეულ კიბეზე, თითოეული მარშის საზღვრებში საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.

- გზა-კიბეების ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები. ასევე კიბეების მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.

- კიბეების მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბეების სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

- 1009.16 ქვეთავის თანახმად, სახურავზე მიდგომა არ მოეთხოვება მიწის დონიდან ოთხ სართულამდე შენობებს, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, შენობის სახურავთან მიდგომა ხორციელდება ერთ-ერთი გზა-კიბეების საშუალებით.

- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას. შენობის 0.00 ნიშნულზე ასევე გათვალისწიებულია მბრუნავი კარი, რომელიც შეესაბამება 1008.1.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- თითოეული სივრცისთვის უზრუნველყოფილია საერთო სავალი ბილიკისადმი მოთხოვნები 1014.3 ცხრილის შესაბამისად.

- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, თითოეული სართულისთვის/სივრცისთვის აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.

- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.

- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასვლლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა მისაწვდომ გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

8 მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომობა უზრუნველყოფილია საპროექტო მიწის ნაკვეთსა და შენობაში.

- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის მთავარ შესასვლელემდე და შენობის ყველა მისაწვდომ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.

- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- საპროექტო შენობას ერთადერთი მთავარი შესასვლელი აქვს და ასეთი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- გარე ღია ავტოსადგომზე, შშმ პირთა ავტოსადგომების რაოდენობა დარეგულირებულია 1106.1 ცხრილის შესაბამისად, მოწყობილია ორი მისაწვდომი ავტოსადგომი ორი სხვადასხვა დანიშნულების სივრცისათვის. ერთ-ერთი მათგანი განკუთვნილია მიკროავტობუსისათვის.

- საპროექტო ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს. მისაწვდომი ტუალეტის ოთახები დაგეგმარებული მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნათა დაცვით. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას. თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს გასასვლელთან მისადგომ გზა-კიბეებს თავშესაფრის ფართობებით, მისაწვდომ სვლაგეზს, მისაწვდომ პანდუსსა და გარე თავშესაფრის ფართობებს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი გასასვლელი საშუალებებისადმი მოთხოვნები სრულად პასუხობს 1007 ქვეთავის მოთხოვნებს.

- თავშესაფრის შიდა ფართობებზე მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ადგილსა და ცენტრალურ საკონტროლო წერტილს შორის. იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა გამოკრულია ორმხრივი კავშირის სისტემის მომიჯნავედ.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტებთან და მისაწვდომ ლიფტთან, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.

- მისაწვდომი გასასვლელის ნიშანი განთავსებული გასასვლელის მომსახურე ყველა შესაბამის კართან, რაც აკმაყოფილებს 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

9 შიგა გარემოს შეფასება:

- მთელი შენობა ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ტუალეტის ოთახები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- არცერთი დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

10 გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლების მასალად გამოყენებულია სენდვიჩპანელები. ფასადეის ნაწილი კი ილესება.
- გარე კედლად გამოყენებული ლითონშემკვლელი მასალები უნდა აკმაყოფილებდეს 1407 ქვეთავის მოთხოვნებს და უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:
  - ლითონშემკველი მასალების ალის გავრცელების ინდექსი უნდა იყოს 75 ან 75-ზე ნაკლები, ხოლო კვამლის განვითარების ინდექსი - 450 ან 450-ზე ნაკლები.
- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს, თანახმად 1403.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა. საპროექტო შენობის გარე კედლები წარმოადგენს ბლოკის ანაწყობს, შესაბამისად გარე კედლისათვის არაა სავალდებულო ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტის, მათ შორის 1404.2 ქვეთავის შესაბამისი წყალმედეგი ზღუდის მოწყობა.
- რაც შეეხება ჰიდროიზოლაციას, იგი მოეწყობა გარე კედლისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, ტერასებთან, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს“. ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია მითითებულია ფასადებზე.
- ფასადის დასათბუნებლად გამოყენებული XPS ფილები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგს: მასალის ალის გავრცელების ინდექსი უნდა იყოს 75 ან 75-ზე ნაკლები, ხოლო კვამლის განვითარების ინდექსი - 450 ან 450-ზე ნაკლები. ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია ასახულია საპროექტო დოკუმენტაციაში, რაც სავალდებულოდ უნდა იქნას გათვალისწინებული

11 სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:

- ჰიდროიზოლაცია მოეწყობა კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, რაც შეესაბამება 1503.2 ქვეთავიას მოთხოვნას. ჰიდროიზოლაციის მოწყობის თაობაზე

